

საზოგადოებრივი კოლეჯი  
„კავკასიონი“



სტუდენტთა მესამე  
სამეცნიერო - პრაქტიკული  
კონფერენცია

ქუთაისი 2017

საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ დაარსდა 2012 წელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რაინდი ლომაიას თაოსნობით და იმავე წელს გაიარა სახელმწიფო ავტორიზაცია.

„კავკასიონის“ სათაო ოფისი განთავსებულია ქ. ქუთაისში, ოცხელის ქ. №2-ში, მაღლივი კორპუსის V-VI-VII სართულებზე. წარმატებით ფუნქციონირებს ასევე მისი წარმომადგენლობა თბილისსა და ბათუმში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი კარგი სწავლებისათვის. კოლეჯის კაბინეტები, სალექციო აუდიტორიები, სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასი, საწარმოო პრაქტიკის ობიექტები, ბიბლიოთეკა და სხვა ინფრასტრუქტურა აღჭურვილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

კოლეჯში, 10 პროფესიულ პროგრამაზე, 300-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. მათ მაღალკვალიფიკაციურ მომზადებაზე 84 პედაგოგი ზრუნავს, მათ შორის 27 - მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონეა.

კოლეჯში, როგორც პედაგოგების მხრიდან, ასევე ქალაქში აღიარებული სპეციალისტების მიერ რეგულარულად ტარდება - საჯარო და საჩვენებელი ლექციები, მეცადინეობები მიმდინარეობს საპრეზენტაციო ფორმატში, საკმაოდ მაღალია სტუდენტთა ჩართულობაც.

სწავლის პარალელურად, კოლეჯის ადმინისტრაციისა და სტუდენტური კავშირის ხელმძღვანელობით, ტარდება სხვადასხვა თვითშემოქმედებითი ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები, კორპორაციული დღეები, ექსკურსიები, რომელიც მომავალ სპეციალისტებს ეხმარებათ თავიანთი უნარების გამოვლინებაში და საერთოდ, უფრო საინტერესოს ხდის სტუდენტურ ცხოვრებას. ყოველივე ეს კი - ხელს უწყობს მათ დამკვიდრებას საზოგადოებაში და უადვილებთ საკუთარი ადგილის პოვნას ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში. მისი დასტურია კოლეჯი „კავკასიონის“ კურსდამთავრებულთა საკმაოდ მაღალი დასაქმების დონე ეკონომიკის კერძო და საჯარო სექტორში.

კოლეჯის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი მზადაა ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ თავის წვლილი შეიტანოს, როგორც იმერეთის რეგიონის, ასევე ქვეყნის მასშტაბით კვალიფიციური პროფესიული კადრების აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში.



## სტუდენტთა მესამე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებს

მოგესალმებით, კონფერენციის მონაწილეებს!

საქართველოს წარმატებული მომავალი შეუძლებელია თანამედროვე, განვითარებული ტექნოლოგიური სისტემების დანერგვის და მათი სწორი ადმინისტრირების გარეშე, რაც პირველ რიგში, დამოკიდებულია მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდაზე. მეტიც, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიახლეების დანერგვას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაქვს სასურველი შედეგი, თუ არსებული სიახლე ინტეგრირებული და კოორდინირებულია საკადრო პოლიტიკასთან.

სწორედ ამ საქმეს ემსახურება კოლეჯი „კავკასიონის“ მისი და მისი საქმიანობის ძირითადი მიზანი, რომელიც ცდილობს თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში და სტუდენტებს შეუქმნას სწავლისა და პროფესიული უნარჩვევების მიღება/ჩამოყალიბების მაქსიმალურად კარგი პირობები, რაც აისახება თანამედროვე პროფესიულ პროგრამებში, განახლებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში, კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალის მოწვევაში და ა.შ.

მიმდინარე, საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ სტუდენტთა მესამე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ეს განსაკუთრებული გამოწვევაა, როგორც კოლეჯის სტუდენტებისათვის, ასევე პედაგოგებისათვის და თვით ადმინისტრაციისათვისაც კი, რომლებმაც უნდა შეაჯამოს არა მარტო მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული/გაცემული ცოდნა და დაგეგმონ სამომავლო განვითარების პერსპექტივები, არამედ ეს კონფერენცია ფაქტიურად არის კოლეჯის დაარსებისა და ავტორიზაციის 5-წლიანი ანგარიშიც.

წარმატებას ვუსურვებ კონფერენციის მონაწილე ყველა სტუდენტს, მის საორგანიზაციო და სარედაქციო კომიტეტს და სექციათა ჟიურის წევრებს. დაე, ეს კონფერენცია გახდეს თქვენი წინსვლის მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

**კოლეჯის დირექტორი, პროფესორი  
რაინდი ლომია**



**კონფერენციის საორგანიზაციო და სარედაქციო  
კომიტეტი**

**რინდი ლომია**

პროფესორი, კოლეჯი „კავკასიონის“ დირექტორი

**ფატი ბაბუნაშვილი**

კოლეჯი „კავკასიონის“ ხარისხის მართვის სამსხ. უფროსი

**ლელა ბოკუჩავა**

კოლეჯი „კავკასიონის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

**შორენა მარგველაშვილი**

კოლეჯი „კავკასიონის“ სასწავლო ნაწილი

**ნინო ჭოხონელიძე**

კოლეჯი „კავკასიონის“ ბიბლიოთეკის გამგე

**ემზარ ჯულაყიძე**

პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების სექციის ხელ-ლი

**დალი ქობულაძე**

ექიმი-ეპიდემიოლოგი, ჯანდაცის სექციის ხელმძღვანელი

**რამაზ მასიაშვილი**

კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტი



## კონფერენციის სამუშაო პროგრამა

კონფერენცია ჩატარდება 2017 წლის 16 ივნისს.

10<sup>00</sup> -10<sup>30</sup> სთ. რეგისტრაცია (აუდიტორია №5)

10<sup>30</sup> - 11<sup>00</sup> სთ. კონფერენციის გახსნა და მისალმება:

**რაინდი ლომია,**  
პროფესორი, კოლეჯი „კავკასიონის“ დირექტორი

**ფატი ბაბუნაშვილი,**  
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

11<sup>00</sup>-15<sup>30</sup> სთ. სექციური მუშაობა:

**ბიზნესის ადმინისტრირების სექცია**  
(აუდიტორია №5)

**ჯანდაცვის სექცია**  
(აუდიტორია №10)



*კონფერენციის ჟიური*

**ბიზნესის ადმინისტრირების სექცია**

1. ემზარ ჯულაყიძე - პროფესორი, თავმჯდომარე
2. გიორგი ბრეგვაძე - პროფესორი
3. გიორგი ფოფხაძე - პროფესორი
4. სუზანა დობორჯგინიძე - პროფესორი
5. მეგი გორგასლიძე - პროფესორი
6. თენგიზ კუპრაშვილი - პროფესორი
7. ნოდარ ჭანტურია - პროფესორი
8. ციბაძე ვაჟა - უფ. მასწავლებელი
9. ვახტანგ უშხვანი - უფ. მასწავლებელი
10. ნოდარ გიორგიძე - უფ. მასწავლებელი
11. მელანია კარანაძე - უფ. მასწავლებელი
12. ირმა ჯანგაძე - უფ. მასწავლებელი
13. მზია ხარშიანი - უფ. მასწავლებელი
14. ლაზარე კვირიკაშვილი - უფ. მასწავლებელი
15. პაპუნა ქარჩავა - უფ. მასწავლებელი
16. ნინო ბუჩუკური - უფ. მასწავლებელი
17. ნინო ლილუაშვილი - უფ. მასწავლებელი, მდივანი

**ჯანდაცვის სექცია**

1. დალი ქობულაძე - ეპიდემიოლოგი, თავმჯდომარე
2. ლელა ნიკოლეიშვილი - პროფესორი
3. თემურ ქანთარია - მედიცინის მეცნ. დოქტორანტი
4. მაია სულაბერიძე - უფ. მასწავლებელი
5. ნია მოსეშვილი - უფ. მასწავლებელი
6. ინგა ჩირგვილაძე - უფ. მასწავლებელი
7. ქეთევან ჩირგაძე - უფ. მასწავლებელი
8. რამაზ მაისაშვილი - უფ. მასწავლებელი
9. თეა სიმსივე - უფ. მასწავლებელი
10. ეკატერინე ჯავახია - უფ. მასწავლებელი
11. რუსუდან ხაჭაპურიძე - უფ. მასწავლებელი
12. ხათუნა სირაძე - უფ. მასწავლებელი
13. ნინო ჩიტაური - უფ. მასწავლებელი
14. დალი ღონლაძე - უფ. მასწავლებელი
15. თამუნა ქიტესაშვილი - უფ. მასწავლებელი
16. ნინო ცხადაძე - უფ. მასწავლებელი
17. თეონა ტალიკაძე - უფ. მასწავლებელი, მდივანი



## ბიზნესის ადმინისტრირების სექცია

(სამუშაო პროგრამა)

1. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია. მომხსენებელი - სალომე მანაგაძე, „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, V საფეხურის (I წელი) სტუდენტი. ხელ-ლი უფ. მასწ. ნოდარ გიორგიძე
2. წარმატების სტრატეგია. მომხსენებელი - გიორგი ლეთოდიანი, „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, V საფეხურის (I წელი) სტუდენტი, ხელ-ლი პროფ. ემზარ ჯულაყიძე
3. კორპორაციული ურთიერთობები, როგორც ბიზნესის განვითარების საფუძველი. მომხსენებელი - მონიკა ვაჩიშვილი, „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, IV საფეხურის სტუდენტი, ხელ-ლი უფ. მასწ. მელანია კარანაძე
4. ილია ჭავჭავაძე და საბანკო საქმე საქართველოში. მომხსენებელი - დუნდუა თეონა. „ბანკის მოლარე-ოპერატორი“, III საფეხურის სტუდენტი, ხელ-ლი უფ. მასწ. ვაჟა ციბაძე
5. პროცესორები (CPU) და მათი გამოყენება. მომხსენებელი - ლაჭავა გოგა, „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, III საფეხურის სტუდენტი, ხელ-ლი პროფ. ნოდარ ჭანტურია
6. ფულად საშუალებათა აუდიტი. მომხსენებელი - გიორგაძე თინათინი, მცირე ბიზნესის მწარმოებელი, V საფეხურის (II წელი) სტუდენტი, ხელ-ლი პროფ. გიორგი ფოფხაძე
7. საქმიანი შეხვედრის წარმართვის წესი. მომხსენებელი - ჩავჩიძე ინოლა, „ოფისის მენეჯერი“, III საფეხურის სტუდენტი, ხელ-ლი პროფ. მეგი გორგასლიძე
8. ქართული დოკუმენტების განვითარების ისტორია ფეოდალურ, მეფის რუსეთის, საბჭოთა და თავისუფალ საქართველოში. მომხსენებელი - ნემსიწვერიძე ნინო, „ოფისის მენეჯერი“, III საფეხურის სტუდენტი, ხელ-ლი უფ. მასწ. ნინო ლილუაშვილი
9. საერთაშორისო საქმიანი ეტიკეტი. მომხსენებლები - ბესელია მარიკა „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, IV საფეხურის სტუდენტი. ხელ-ლი პროფ. თენგიზ კუპრაშვილი



10. სალაროსა და საბანკო ოპერაციების აღრიცხვა. მომხსენებლები - ბალიშვილი ლაშა. “ბუღალტერია” III საფეხურის სტუდენტი. ხელ-ლი უფ. მასწ. ირმა ჯანგავაძე
11. ბიზნეს-იდეის შერჩევის თავისებურებები. მომხსენებლები - ფანცულაია მარიამი. „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, V საფეხურის (II წელი) სტუდენტი. ხელ-ლი უფ. მასწ. ლაზარე კვირიკაშვილი
12. დრუბლოვანი ტექნოლოგიები. მომხსენებლები - საბა ბაბუხაძია, „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, III საფეხური (თბილისი) ხელ-ლი უფ. მასწ. პაპუნა ქარჩავა
13. სიღარიბე 21-ე საუკუნის გამოწვევა. მომხსენებლები - მარიამ მეგრელიშვილი, სპეციალობა „ბანკის მოლარე-ოპერატორი“, III საფეხური (თბილისი). ხელ-ლი პროფ. გიორგი ბრეგვაძე
14. საბანკო რისკები. მომხსენებლები - ლენა ჭინჭარაძე „ბანკის მოლარე-ოპერატორი“, III საფეხური (თბილისი). ხელ-ლი უფ. მასწ. ვახტანგ უმხვანი
15. ბიზნეს-გარემო საქართველოში: მდგომარეობა, პრობლემები, გამოწვევები. მომხსენებლები - ლანდა ჯამასპიშვილი „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, IV საფეხური (თბილისი). ხელ-ლი პროფ. სუზანა დობორჯგინიძე
16. ტურიზმის განვითარება საქართველოში. მომხსენებლები - მარიამ კუკავა, „ოფისის მენეჯერი“ III საფეხური (თბილისი). ხელ-ლი უფ. მასწ. მზია ხარძიანი
17. ლიზინგი. მომხსენებლები - სალომე მეფარიშვილი, „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, IV საფეხური (თბილისი). ხელ-ლი უფ. მასწ. ნინო ბუჩუკური





## ჯანდაცვის სექცია

(სამუშაო პროგრამა)

1. **პრობლემური წამლები და მათი უსაფრთხო ალტერნატივები.** მომხსენებელი მუმლაძე თეონა „ფარმაცევტის თანაშემწე“, V საფეხურის სტუდენტი, ხელ-ლი უფ. მასწ. მია სულაბერიძე
2. **ზღვის მარილის სიკეთე.** მომხსენებლები - შუკაკიძე თეონა, სილაგაძე მარგარიტა. „მასაჟი“, III საფეხურის სტუდენტი, ხელ-ლი უფ. მასწ. ნია მოსეშვილი
3. **წყალი და მისი როლი ფარმაცევტულ ქიმიაში.** მომხსენებელი - კაჭარავა თამარი. „ფარმაცევტის თანაშემწე“, V საფეხურის სტუდენტი. ხელ-ლი პროფ. ცუცა სულაკაძე
4. **დისლექსია.** მომხსენებლები - ხორავა ანა. „ფარმაცევტის თანაშემწე“, V საფეხურის სტუდენტი, ხელ-ლი უფ. მასწ. თეა სიმსივე
5. **თავისუფალი რადიკალები და ანტიოქსიდანტები.** მომხსენებლები - თეონა ლორია. „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხურის სტუდენტი. ხელ-ლი პროფ. ლელა ნიკოლეიშვილი.
6. **ბიონიკური თვალი.** მომხსენებლები - ქაჯაია მარიამი. „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხურის სტუდენტი. ხელ-ლი უფ. მასწ. ეკატერინე ჯავახია.
7. **ფსიქიკური დარღვევები ხანდაზმულებში – ალცჰეიმერის დაავადება.** მომხსენებელი - ჯუღელი ნინო. „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხურის სტუდენტი. ხელ-ლი უფ. მასწ. რუსუდან ხაჭაპურიძე
8. **კვანძოვანი ჩიყვი.** მომხსენებელი - ჯანელიძე მილანა. „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხურის სტუდენტი. ხელ-ლი უფ. მასწ. ხათუნა სირაძე
9. **ჯანსაღი კვება.** მომხსენებელი - ლელაძე ლანა. „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხურის სტუდენტი. ხელ-ლი უფ. მასწ. ინგა ჩირგვილაძე
10. **მოწამვლები.** მომხსენებელი - ლორია თეა, „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხურის სტუდენტი. ხელ-ლი უფ. მასწ. ქეთევან ჩირგაძე



11. პირველადი სამედიცინო დახმარება (ზოგადი პრინციპები). მომხსენებელი - მაკა ექვსშაურაშვილი, „ოფისის მენეჯერი“ III საფეხური (თბილისი). ხელ-ლი უფ. მასწ. ნინო ჩიტაური
12. ნოზოკომიური (სავადმყოფოს შიგა) ინფექციები. მომხსენებელი - ზუხზაია ილონა, „ექთნის თანაშემწე“, III საფეხური (თბილისი). ხელ-ლი უფ. მასწ. დალი ღონდაძე
13. მედიკამენტოზური თერაპიის მომავალი - წამლის მიწოდებელი სისტემები. მომხსენებელი - სოფიო გოგოლაძე, „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხური (თბილისი). ხელ-ლი დოქტორანტი თემურ ქანთარია
14. ჯანმრთელი, დროული ახალშობილის მოვლა სამშობიარო სახლში. მომხსენებელი - მარიამ გოგსაძე, „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხური (თბილისი). ხელ-ლი უფ. მასწ. თამუნა ქიტესაშვილი
15. გულ-სისხლძარღვთა სისტემა. მომხსენებელი - თამარ ცუხიშვილი, „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხური (თბილისი). ხელ-ლი უფ. მასწ. ნინო ცხადაძე
16. როგორი უნდა იყოს წარმატებული მედდა. მომხსენებელი - ლია მანასიანი, „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხური. ხელ-ლი უფ. მასწ. თეონა ტალიკაძე
17. 3D ტექნოლოგიები სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებში. მომხსენებლები - დავით შაშიაშვილი, ლილე ვაშაყმაძე, „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, III საფეხური. ხელ-ლი უფ. მასწ. რამაზ მასისაშვილი



# მოხსენებათა თეზისები ბიზნესის ადმინისტრირების სექცია

სალომე მანაგაძე

სპეციალობა „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, V საფეხური (I წელი)  
ხელ-ლი უფ. მასწ. ნოდარ გიორგიძე

## ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, წარმატების მსურველმა კომპანიებმა დახვეწეს მასობრივი მარკეტინგის ხელოვნება, ანუ სტანდარტიზებული პროდუქტების გაყიდვა მყიდველთა მასებზე. ამ პროცესში, მათ განავითარეს ეფექტური რეკლამირების მეთოდები მასმედიის საშუალებით, რათა მხარი დაეჭირათ თავიანთი მასობრივი მარკეტინგული სტრატეგიებისთვის.

ეს კომპანიები როგორც წესი მილიონობით დოლარის ინვესტიციებს დებენ მასმედიაში, შედეგად, მათ ერთი რეკლამის მეშვეობით მილიონობით მყიდველის მოზიდვა შეუძლიათ. თუმცა, 21-ე საუკუნემ მარკეტინგის მენეჯერები მარკეტინგული კომუნიკაციების ახალი რეალობის წინაშე დააყენა.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის კონცეფცია გულისხმობს კომპანიის მიერ სტიმულირების ელემენტების გულდასმით კოორდინირებას, რომლის საბოლოო მიზანია გაავრცელოს გასაგები, თანმიმდევრული და გამორჩეული შეტყობინება ორგანიზაციასა და მის პროდუქტებზე

კომპანიის სრული მარკეტინგული კომუნიკაციის კომპლექსი (იგივე მასტიმულირებელი კომპლექსი) წარმოადგენს, რეკლამირების, გაყიდვების სტიმულირების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, პერსონალური გაყიდვებისა და პირდაპირი მარკეტინგის მეთოდების ერთობლიობას, რომელსაც კომპანია იყენებს თავისი სარეკლამო და მარკეტინგული მიზნების განსახორციელებლად.



**ლეთოდიანი გიორგი**

სპეციალობა „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, V საფეხური (I წელი)  
ხელ-ლი პროფ. ემზარ ჯულაყიძე

**წარმატების სტრატეგია**

ცნობილია, რომ წარმატებული ბიზნესის მიღწევა შეუძლებელია ორგანიზაციის სწორი მენეჯმენტის გარეშე. დღეს, მენეჯერთა ძირითად ამოცანას წარმოადგენს როგორც მიმდინარე სამეურნეო საქმიანობის მართვა, ასევე მისი სწორი ხედვა კომპანიის სამომავლო პოზიციების შესახებ და მისი პრაქტიკული განხორციელება. ზოგადად, თუ მიზანი განსაზღვრავს საით მიისწრაფის ორგანიზაცია, რას უნდა მან მიაღწიოს, სტრატეგია პასუხობს კითხვაზე თუ როგორ, რომელი ხერხით მიაღწევს ორგანიზაცია თავის მიზანს ასეთ ცვლად და კონკურენტულ გარემოში. ანუ, წარმატებული სტრატეგია ეს არის ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული ნაბიჯების ერთობლიობა სასურველი შედეგების მისაღწევად. ასეთი სტრატეგიის შექმნისა და მისი რეალიზაციის პროცესი შედეგა ერთმანეთთან დაკავშირებული ხუთი ეტაპისაგან. ესენია: გარემოს ანალიზი და მენეჯერის ხედვა, რომლის მიხედვითაც ყალიბდება ორგანიზაციის მისია; მისიის გარდაქმნა ცალკეულ აღსრულებად მიზნებად; სტრატეგიის ფორმირება; მისი დანერგვა და ეფექტიანი აღსრულება; სტრატეგიის შესრულების შეფასება. თუმცა, თითოეული მათგანი ექვემდებარება გარკვეულ ცვლილებებს დროის განსხვავებულ პერიოდებში.

**ვაჩეიშვილი მონიკა**

სპეციალობა „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, IV საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. მელანო კარანაძე

**კორპორაციული ურთიერთობები, როგორც ბიზნესის  
განვითარების საფუძველი**

თანამედროვე ცივილიზებული სამყარო დინამიური პროცესებით ხასიათდება. დროსა და სივრცეში მიმდინარე



თანამედროვე ცვლილებებმა მრავალ გამოწვევათა წინაშე დააყენა საზოგადოება და მისი თითოეული წევრი. ეს გამოწვევები მით უფრო მნიშვნელოვანია, როცა ის ეხება კერძო სამართლებრივ სფეროს, რომლის მნიშვნელოვანი დისციპლინა სამეწარმეო, საკორპორაციო სამართალია.

„სამეწარმეო სფეროში“ ბიზნეს-ურთიერთობების დაწყებისა და შემდგომი განვითარების კანონზომიერებები, კერძო სამართლის სფეროში არსებულმა საკანონმდებლო ნორმებმა უნდა უზრუნველყოს. კორპორაციული ურთიერთობები, როგორც ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი საფუძვლების კვლევას და ანალიზს ემსახურება კანონი „მეწარმეთა შესახებ“. მან, როგორც ცოცხალმა ორგანიზმმა, მრავალჯერ გაიარა ტრანსფორმირება. იმედია იგი ისეთ კონდიციამდე მივა, რომ საქართველოს მოქალაქეებს და არა მარტო მათ, აღუძრავს სურვილს განახორციელონ ესა თუ ის ბიზნეს-საქმიანობა. ეს კი პირდაპირ აისახება როგორც ქვეყნის ეკონომიკასა და სახელმწიფო ბიუჯეტზე, ასევე - საბოლოოდ ანგარიშით მოსახლეობის კეთილდღეობაზეც.

## **დუნდუა თონა**

სპეციალობა „ბანკის მოლარე-ოპერატორი“, III საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. ვაჟა ციბაძე

## **ილია ჭავჭავაძე და საბანკო საქმე საქართველოში**

XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც რუსეთმა ქართლ-კახეთის ტახტი გააუქმა, ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად ქართველთა არსებობის საკითხიც დადგა. ილია თავის თანამებრძოლებთან ერთად ქართული მიწების უცხო ტომებისთვის გასხვისების შეჩერებას, მონდომებით ცდილობდა. „სათავადაზნაურო ბანკი“ სწორედ ამ მიზნით შეიქმნა. იდეა დიდ ქართველ მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნოდა. მათ შეიმუშავეს ბანკის წესდება, რომელიც დიდი დავიდარაბის შემდეგ, რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა. ასე შეიქმნა პირველი ქართული ბანკი, რომლის დამფუძნებელთა საერთო კრებამ (05.09.1874 წ.) ილია ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია. ის 32



წლის განმავლობაში უცვლელად ხელმძღვანელობდა მას. ბანკი მოქმედებდა თბილისის გუბერნიის ფარგლებში და სასესხო ოპერაციებს აწარმოებს როგორც ნაღდი ფულით, ისე საკრედიტო ნიშნებით, ანუ გირავნობის ფარგლებით. სესხი გაიცემოდა როგორც გრძელვადიანი (43 წ. და 6 თვე), ასევე - მოკლევადიანი (1-დან 3 წლამდე).

ილია ჭავჭავაძის, მიზანი იყო არა გამდიდრება, არამედ ეროვნული საქმის კეთება. ეს საფინანსო ინსტიტუტი თავისი შემოსავლიდან დახმარებას უწევდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ თეატრს, ქართულ გიმნაზიას და სხვა ეროვნულ კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ილიას სწამდა, რომ „ბანკი სიღარიბისა და უმეცრებისგან იხსნიდა ქვეყანას“. თუმცა, 1905 წელს იგი პროტესტის ნიშნად გადადგა, რადგან თავადაზნაურობის რეაქციული მთავრობა მას ბანკის სახსრებით გლეხთა მასობრივი მოძრაობის ჩახშობას აიძულებდა.

### **დაჭავა გოგა**

სპეციალობა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, III საფეხური  
ხელ-ლი პროფ. ნოდარ ჭანტურია

### **პროცესორები (CPU) და მათი გამოყენება**

პროცესორი, ანუ CPU – ეს არის აბრევიატურა, რომელიც იშიფრება როგორც Central Processor Unit – იგივე ცენტრალური პროცესორი. პროცესორის როლი არის აკონტროლოს და მართოს ყველა მიმდინარე პროცესი, ორივე, შიდა და გარე სალტეების გამოყენებით. პროცესორის ჩიპი შეიცავს მილიონობით ტრანზისტორების მწკრივს. მოხსენებაში განხილულია პროცესორების კლასიფიკაცია, მათი ფუნქცია და მახასიათებლები, თანრიგიანობა, გამოყენებული ტექნოლოგიები, პროცესორების მწარმოებლები და მათი პროდუქციის დახასიათება.



**გიორგამე თინათინი**

სპეციალობა „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, V საფეხური (II წელი)  
ხელ-ლი პროფ. გოგი ფოფხაძე

**ფულად საშუალებათა აუდიტი**

აუდიტორული საქმიანობის შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა აუცილებელი მოთხოვნითაა ნაკარნახევი. დღეისათვის აუდიტს განსაკუთრებული მისია აკისრია კორუფციასთან ბრძოლაში. ის ცივილიზებულ მსოფლიოში აღიარებულია ეკონომიკის მართვის მნიშვნელოვან ატრიბუტად. წარმოდგენილ საკონფერენციო თემაში განხილულია ფულადი საშუალებების, სალაროსა და საბანკო ოპერაციების ის ძირითადი ფაქტები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ფირმის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე. საუბარია იმ ღონისძიებებზე და წინადადებებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად შეამცირებენ რისკის ფაქტორებს.

ფულად საშუალებათა აუდიტი საქართველოში რეგისტრირებულ გადამხდელთა ფართო სპექტრს საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგება შეადგინონ ერთიანი მეთოდოლოგიური საფუძვლების მიხედვით, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აუდიტის წინაშე დასმული შესასწავლი საკითხის სივრცე და არეალი უნდა გამომდინარეობდეს ერთი მარტივი ჭეშმარიტებიდან, რომ ფულს აქვს ფასი, რომელიც უკავშირდება მის მიერ მოტანილ შემოსავლებს, რომლის გარანტიად ყოველთვის აუდიტი უნდა იყოს, რაც უზრუნველყოფს თითოეული საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსურ მდგრადობას.

**ჩავჩიძე ინოლა**

სპეციალობა „ოფისის მენეჯერი“ III საფეხური  
ხელ-ლი პროფ. მეგი გორგასლიძე

**საქმიანი შეხვედრის წარმართვის წესი**

სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური საკითხები მუდმივი და დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით რეგულირდება. გაცილებით უფრო თავისუფალია საქმიანი



პარტნიორის არჩევა ფირმებისათვის. ეს პროცესი საკმაოდ მნიშვნელოვანია ორივე მხარისათვის და საჭიროებს წინასწარ დაგეგმვას და მომზადებას. მნიშვნელოვანია ასევე - უცხოურ სახელმწიფოთა და ფირმათა წარმომადგენლების საგარეო ვიზიტის მიზნების გამორკვევა, რომელთაც მიეკუთვნება:

- კონტაქტების დამყარების შესაძლებლობები;
- მოლაპარაკებების ჩატარება;
- ხელშეკრულების ან შეთანხმების ხელმოწერა;
- სემინარების, გამოფენების, ბაზრობების და სხვათა ორგანიზება.

შესაბამისად, წარმატებული შედეგი დამოკიდებულია მოლაპარაკებების სწორად ორგანიზაციაზე, რისთვისაც აუცილებელია საქმიანი საუბრის წარმართვის წესების დაცვა, როგორცაა: კონკრეტული მიზნის ჩამოყალიბება; საუბრის გეგმის შედგენა; საუბრის დროის, ადგილისა და ხანგრძლივობის განსაზღვრა; საუბრის ამოცანის დადგენა; მიზნის მისაღწევად ტაქტიკის შერჩევა; მიღებული ინფორმაციის დაფიქსირება; საუბრის წარმართვისათვის მიღებული ეტიკეტის შენარჩუნება. ყველა, აღნიშნული წესების ცოდნა, ფირმებს საშუალებას მისცემს დროულად მოახდინონ პროდუქციის რეალიზაცია, მიიღონ მაღალი საფინანსო შედეგი და დაიმკვიდრონ კარგი რეპუტაცია ბაზარზე.

**ნემსიწვერიძე ნინო**

სპეციალობა „ოფისის მენეჯერი“ III საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. ნინო ლილუაშვილი

**ქართული დოკუმენტების განვითარების ისტორია  
ფეოდალურ, მეფის რუსეთის, საბჭოთა და თავისუფალ  
საქართველოში**

დოკუმენტების შექმნის ისტორია მრავალ ათასწლეულს ითვლის. პირველი დოკუმენტები შეიქმნა ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ანბანი გაჩნდებოდა. მაშინ ადამიანები სხვადასხვა პირობით ნიშნებს იყენებდნენ - ხატავდნენ ან კაწრავდნენ სხვადასხვა მასალაზე, ეს იქნებოდა თიხის ფირფიტა, ქვა თუ ხარის ბეჭი. ანუ პირველი დოკუმენტები გაჩნდა მაშინ როდესაც შეიქმნა გარკვეული





ინფორმაციის გადაცემის ან შენახვის საჭიროება დროსა თუ სივრცეში.

ადამიანის, ადამიანთა ჯგუფების, სახელმწიფოების წარმოქმნისა და განვითარების შესაბამისად დოკუმენტების მნიშვნელობა, როდენობა და საჭიროება მკვეთრად გაიზარდა. აუცილებელი გახდა დოკუმენტების ორგანიზებული წარმოება.

შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში მოცემულია თუ როგორ ვითარდებოდა და სახეს იცვლიდა დოკუმენტები ადრეფეოდალური ხანის საქართველოდან დღემდე.

## ბესელია მარიკა

სპეციალობა „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, IV საფეხური  
ხელ-ლი პროფ. თენგიზ კუპრაშვილი

### საერთაშორისო საქმიანი ეტიკეტი

ყველა ქვეყანას ახასიათებს თავისი ეტიკეტი და ქცევის ნორმა სხვადასხვა სიტუაციაში. ქცევის ეტიკეტი დაუწერელი კანონია, რომლის შესრულებაც დიდ ნებისყოფასა და ყურადღებას მოითხოვს. ეტიკეტი, ფაქტურად, არის ქცევის კოდექსი, რომელიც გამოხატავს თქვენს დამოკიდებულებას სოციალური კლასის ან ჯგუფის მიმართ. იგი ფრანგული სიტყვაა, რაც ნიშნავს რაიმე ზედამხედველ ბილეთს. ეს სიტყვა საერთაშორისო ენაში პირველად 1750 წელს გამოჩნდა.

საქმიანი ურთიერთობები საერთაშორისო დონეზე, როგორც წესი, საერთაშორისო საქმიანი ეტიკეტის წესებს ემორჩილება. ამასთან, უმეტესად, ეროვნული განსხვავებები და თავისებურებები, კონფლიქტურ სიტუაციებს არ იწვევს. მაგრამ კულტურული ტრადიციების მკვეთრი სხვაობისას მხარეებს უჯობთ ერთიანი ნორმები დაწესები დაიცვან.

თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში ეტიკეტის ნორმების დარღვევამ შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს, ბიზნესის სამყაროში ასეთი ქცევა არა მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის დაკარგვად შეიძლება დაგიჯდეთ, არამედ პირდაპირი კომერციული წაგებაც კი მოიტანოს. საქმიან ეტიკეტს რამდენიმე სიტყვით



ფორმულირებული, ზუსტი და ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება არ აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ის ქვევის საქმიან წრეებში მიღებული წესების ერთობლიობაა.

ამიტომაც უცხოელ პარტნიორთან საქმიანი ურთიერთობის მთავარი წესია - სანამ მოლაპარაკებათა მაგიდას მიუხსდებით, მისი ქვეყნის ისტორია, კულტურა, ტრადიციები და საქმიანი ეტიკეტი გულდასმით უნდა შეისწავლოთ.

### **ბალიშვილი ლაშა**

სპეციალობა “ბუღალტერია” III საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. ირმა ჯანგაგაძე

### **სალაროსა და საბანკო ოპერაციების აღრიცხვა**

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკამ არსებითად შეცვალა წარმოებითი ურთიერთობა, რომელმაც თავის მხრივ გამოიწვია ფიზიკური და იურიდიული პირთა ურთიერთობების და საწარმო-დაწესებულებათა ორგანიზაციული ფორმების შეცვლა. აქედან გამომდინარე ცვლილებები განიცადა სახელმწიფო და კომერციული ბანკების მიერ ანგარიშსწორების ფორმებმაც.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, ორგანული კანონის თანახმად, ეროვნულ ბანკის ძირითად ამოცანად და ფუნქციად განისაზღვრა ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება საბანკო ოპერაციების ძირითადი მიმართულებები შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით და თუ როგორ ხდება სალაროს ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და მათი ასახვა საბუღალტრო რეესტრებში შემოსავლებისა და გასავლების ორდერების საფუძველზე, რომლებიც საბოლოოდ ასახულია სალაროს წიგნში. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია საბანკო ოპერაციების განხორციელების ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები: საგადახდო დავალება, საგადასახადო დავალება, აკრედიტივი, ჩეკი, საინკასო დავალება და სხვა.

წარმოდგენილია ასევე ფულის დროში შეფასების მიმდინარე და მომავალი ღირებულების კატეგორიები შესაბამისი პრაქტიკული მაგალითებით.



**ფანცულაია მარიამი**

სპეციალობა „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, V საფეხური (II წელი)  
ხელ-ლი უფ. მასწ. ლაზარე კვირიკაშვილი

**ბიზნეს-იდეის შერჩევის თავისებურებები**

თავისუფალი ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის და განუყოფელი ნაწილია, ხოლო წარმატებული ბიზნესი უდიდეს როლს ასრულებს როგორც ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში. მოხსენებაში განხილული იქნება ბიზნეს-იდეის შერჩევის თავისებურებები. კერძოდ, ყურადღება გამახვილებული იქნება მასზედ რომ ბიზნესის დასაწყებად მთავარია არა ფული, რაც ხშირ შემთხვევაში ბიზნესის დაწყების შემაფერხებელ ფაქტორად სახელდება, არამედ საქმიანი და ხარისხიანი ბიზნეს-იდეა და ის გუნდი, რომელმაც უნდა განახორციელოს აღნიშნული იდეა.

შევეხებით ასევე იდეების აუცილებლობას და ყურადღებას გავამახვილებთ იმ იმ საკითხებზე თუ როგორ უნდა შევარჩიოთ ჩვენთვის სასურველი ბიზნეს იდეა. განხილული იქნება 5 უპირატესობა რაც ჩვენს ბიზნესს წარმატებულს გახდის.

**ბაბუხაძია საბა**

სპეციალობა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, III საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. პაპუნა ქარჩავა

**ღრუბლოვანი ტექნოლოგიები**

თანამედროვე ტექნოლოგიები ფართოდ შემოიჭრა ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში (მედიცინა, მეცნიერება, ბიზნესი და ა.შ.). დღეს ბიზნეს-საქმიანობა თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ტექნოლოგიას ეწოდება Cloud Computing (ღრუბლოვანი გამოთვლები). ამ ტექნოლოგიას გააჩნია მრავალი უპირატესობა, რაც მას ხდის სასურველს ნებისმიერ სახის ბიზნეს საქმიანობისთვის. კერძოდ, Cloud Computing-ის უპირატესობებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი:



- არ არსებობს დამატებითი ფიზიკური მოწყობილობების (სერვერები, ქსელური მოწყობილობების, უწყვეტი კვების ბლოკის, გაგრილების სისტემების) შექმნის და პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზირების აუცილებლობა.
- არ არსებობს ფიზიკური ან პროგრამული უზრუნველყოფის მოვლის მიზნით IT-პერსონალის ყოლის ან დაქირავების აუცილებლობა.
- სწორი პოლიტიკის განსაზღვრის შემთხვევაში აღირიცხება მხოლოდ გამოყენებული სერვისები.
- უსაფრთხოების საკითხი სრულადაა უზრუნველყოფილი სერვისის პროვაიდერის მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი უპირატესობები ათავისუფლებს შესაბამის ორგანიზაციას მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯისაგან.

### **მარიამ მეგრელიშვილი**

სპეციალობა „ბანკის მოლარე-ოპერატორი“, III საფეხური  
ხელ-ლი პროფ. გიორგი ბრეგვაძე

### **სიღარიბე 21-ე საუკუნის გამოწვევა**

სიღარიბე ყველა ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ 21-ე საუკუნეში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. დღეს მილიარდობით ადამიანი ჩვენს პლანეტაზე სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს. განსაკუთრებით შემადრწუნებელია როდესაც ეს პრობლემა ასეულობით მილიონ ბავშვს ეხება. ამ გლობალური პრობლემის ფონზე საქართველოც სიღარიბის დამღევის მხრივ ვერ დაიკვებნის. ჩვენთანაც სიღარიბე ძალზე მწვავე პრობლემაა.

ნაშრომში გაანალიზებულია სიღარიბის პრობლემები და დასახულია მათი თანდათანობით დამღევის გზები.



**ლენა ჭინჭარაძე**

სპეციალობა „ბანკის მოლარე-ოპერატორი“, III საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. ვახტანგ უშხვანი

**საბანკო რისკები**

საბანკო რისკები არც ისე მრავალგვარია. რისკის ძირითადი სახეები საბანკო საქმიანობაში: საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი, არალიკვიდობისა და გადახდის უნარიანობის რისკები.

საპროცენტო რისკი იმის საშიშროებაა, რომ შემცირდება მოგების მომტანი აქტივების შემოსავლიანობა, ან მნიშვნელოვნად მოიმატოს პროცენტების გაცემაზე გაწეული ხარჯები და თანაც შემცირდება ბანკის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა. ესე იგი წმინდა მოგება. ბოლო დროს ბანკებმა მიაგნეს საპროცენტო რისკის შემცირების ხერხებს, თუმცა მისი მთლიანად გამორიცხვა შეუძლებელია.

ოპერაციული რისკი ჩნდება ხარისხის კონტროლის სისტემაში შესაძლო ჩავარდნების, მართვაში დაშვებული შეცდომების გამო. თითოეულ ბანკს შეუძლია თავად ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს საოპერაციო რისკის განმარტება. მნიშვნელოვანია რომ განმარტება ითვალისწინებდეს ყველა მნიშვნელოვან საოპერაციო რისკს, რომელიც შეიძლება ბანკს წარმოეშვას.

არსებობს ლიკვიდობის რისკი რომელიც ითვალისწინებს გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში. ლიკვიდობის რისკი იყოფა შემდეგ კატეგორიებად: საბაზრო ლიკვიდობის რისკი, დაფინანსების ლიკვიდობის რისკი. ცხადია რომ ბანკები სხვადასხვა ხერხს მიმართავენ ამ რისკებისაგან თავის დასაცავად. პრაქტიკაში არსებობს რამდენიმე თავდაცვის ფაქტორი რომლის იმედიც შეიძლება ჰქონდეს ბანკის მფლობელებს. ანუ, მენეჯერები ცდილობენ მანამდე მანამდე გადაჭრან ბანკში წარმოქმნილი პრობლემები, ვიდრე სერიოზულ სირთულეებს მოუტანს ბანკს.

რისკის შემცირების მიზნით კაპიტალის გადანაწილება სხვადასხვა აქტივებში ბანკები ცდილობენ გამოყონ რისკის შემამცირებელი დივერსიფიკაციის ორი ტიპი: პორტფელური და გეოგრაფიული. პორტფელის დივერსიფიკაცია ნიშნავს ბანკის კრედიტებისა და დეპოზიტების განაწილებას კლიენტთა ფართო წრეზე, ხოლო გეოგრაფიული დივერსიფიკაციის დროს ხდება



გეოგრაფიული რაიონებიდან ან განსხვავებული ეკონომიკის პირობების მქონე ქვეყნებიდან კლიენტების მოზიდვა.

საქართველოს საბანკო სექტორში რისკების მართვა მოიცავს შემდეგს: რისკების დადგენა, რისკების შეფასება, მონიტორინგი და ლიმიტები, რისკების კონტროლი, აქტივებისა და ვალდებულებების მართვა. სტრეს-ტესტების გამოყენება. რისკების მართვა თანამედროვე საბანკო სექტორში მუდმივი პროცესი უნდა იყოს.

### ლანდა ჯამასპიშვილი

სპეციალობა „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, IV საფეხური  
ხელ-ლი პროფ. სუზანა დობორჯგინიძე

### ბიზნეს-გარემო საქართველოში:

#### მდგომარეობა, პრობლემები, გამოწვევები

ქვეყანაში არსებული ბიზნეს-გარემო განაპირობებს ეკონომიკის ზრდისა და კერძო სექტორის განვითარების ტემპებს. საქართველოს ეკონომიკური გარემო ყოველწლიურად ფასდება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ.

თემაში გაანალიზებულია საქართველოში არსებული ბიზნეს-გარემოს პრობლემები და გამოწვევები. ზოგადი ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია. კერძო სექტორის განვითარების და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

სამეწარმეო, საინვესტიციო და ინსტიტუციონალური გარემოს გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო საქართველოში მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. თემაში განხილულია საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებები, შემოთავაზებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის SWOT - ანალიზი, ყურადღება



გამახვილებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერ სახელმწიფო ინსტიტუტებზე.

**მარიამ კუკავა**

სპეციალობა „ოფისის მენეჯერი“ III საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. მზია ხარძიანი

## **ტურიზმის განვითარება საქართველოში**

დღესდღეობით საქართველოს განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ტურიზმის განვითარება მიიჩნევა. ჩვენს ქვეყანას საკმაოდ დამაიმედებელი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, რაც გლობალური ტურისტული ბაზრისთვის ძალიან მიმზიდველია.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის, საჭიროა: საზოგადოების, მთავრობისა და უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორების კოორდინირებული მოქმედება. გამოვყოფ ტურიზმის განვითარების რამდენიმე სეგმენტს. ესენია:

- საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის აქტივების გამოყენება, უნიკალური ტურისტული შთაბეჭდილებების შეთავაზების კუთხით.
- ეფექტური მარკეტინგისა და საინფორმაციო კამპანიის საშუალებით ვიზიტორების მოზიდვა.
- კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსოფლიო დონის ტურისტული მომსახურების შეთავაზების გზით.
- ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების გაზრდის მიზნით.
- ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება, რაც გულისხმობს ტურიზმის ყველა შესაძლო სახეობის განვითარებას (ეკო-ტურიზმი, სამთო ტურიზმი, აგრო ტურიზმი, საზღვაო ტურიზმი და ა.შ).



**სალომე მეფარიშვილი**

სპეციალობა „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, IV საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. ნინო ბუჩუკური

**ლიზინგი**

ლიზინგს, როგორც ინფრასტრუქტურის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის კაპიტალის მნიშვნელოვან წყაროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა განვითარებადი ეკონომიკის მქონე საქართველოსთვის.

სალიზინგო ურთიერთობების საუკუნოვანი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ლიზინგი არის ძირითადი საშუალებების შექმნის, საწარმოო სიმძლავრეების გაფართოების, მოდერნიზაციისა და განახლების, ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევების დროული გამოყენების, კონკურენტული უპირატესობების შექმნისა და შენარჩუნების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და პრაქტიკულად უაღტერნატივო გზა, არსებითი კაპიტალური დაბანდებების გარეშე.

დღეს ძნელია ვიპოვოთ ისეთი კომპანია, რომელსაც იდეალური ფინანსური მდგომარეობა აქვს. სწორედ ამიტომ განხილვის ღირსია ლიზინგის ისეთი საკითხები როგორცაა: ლიზინგის წარმოშობის ისტორია; ლიზინგისა და იჯარის გამიჯვნა; სალიზინგო ხელშეკრულება; ლიზინგის ფორმები; ლიზინგი და კრედიტი; სალიზინგო ტრანზაქციაში მონაწილეთა უფლება - მოვალეობები.





## ჯანდაცვის სექცია

მუმლაძე თეონა

სპეციალობა „ფარმაცევტის თანამემწე“, V საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. მაია სულაბერიძე

### პრობლემური წამლები და მათი უსაფრთხო ალტერნატივები

წამლების წარმოება გარდა იმისა, რომ ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობას, იგი ასევე წარმოადგენს ბიზნესს. თუმცა, ყველა ახალი სამკურნალო საშუალება არ არის ისეთი, როგორც უნდა იყოს. მაგალითად, აშშ „კვების პროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლის სამმართველოს“ კვლევებით, ბაზარზე 25 მსხვილი ამერიკული ფარმაცევტული ფირმის მიერ გამოტანილი 348 ახალი სამკურნალო პრეპარატების მხოლოდ 3% ჩაითვალა მისაღებად და შეტანილი იქნა თანამედროვე ფარმაცოთერაპიაში, 13% - მიღებული იქნა დასაშვებად სამკურნალოდ, ხოლო დანარჩენი 84% კი ჩაითვალა გამოუყენებლად. ასევე, ამერიკელმა მკვლევარმა ენდრიუ ჩეტლმა წიგნში „პრობლემური წამლები“ მოიყვანა რეალური, დოკუმენტალური ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ იმას, რომ მაგალითად დიარეის სამკურნალო ყოველი ხუთი პრეპარატიდან, რომლებიც წარმოდგენილი იყო იმ დროს ბაზარზე, ოთხი არ ქმნიდა არავითარ ღირებულებას მწვავე დიარეის მკურნალობაში. ხშირად, გაციებისა და ხველების პრეპარატები შეიცავდნენ ისეთ არაეფექტურ ინგრედიენტებს, რომლებსაც აქვთ უნარი გამოიწვიონ მთელი რიგი გვერდითი ეფექტები.

როგორც ფარმაცოპეის კომიტეტის დირექტორმა (აშშ), დოქტორმა ვილიანსმა განაცხადა, ამერიკაში ექიმების შეცდომებით და მათ შორის სამკურნალო საშუალებების არასასურველი ეფექტებით ყოველწლიურად იღუპება 100 ათასი ადამიანი. წამლის მიერი გართულებებით გამოწვეული სიკვდილიანობა მეოთხე-მეექვსე ადგილზე დგას გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიურ, ბრონქიალური ასთმით და ტრამველით გამოწვეულ სიკვდილიანობებს შორის. აღნიშნულის შესახებ ცნობილი ექიმი,



აკადემიკოსი, საგულე წვეთების „ვოტჩალის წვეთების“ შემქმნელი ბორის ვოტჩალი ამბობს - „ჩვენ ვცხოვრობთ უსაფრთხო ქირურგიის საუკუნეში და უფრო საშიშ წამლისმიერი თერაპიის საუკუნეში. ეს სიტყვები აბრასავით უნდა გავაკრათ ყოველ აფთიაქში, რათა უბრალო მყიდველმა შეწყვიტოს წამალში დაინახოს მხოლოდ მეგობარი.“ არადა, სამკურნალო პრეპარატების მიღების ჩვეულება ჩვენში ბავშვობიდანვე ყალიბდება. ჩვენ ვიღებთ თავის ტკივილის, უძილობის, სახსრების, დიარეის წამლებს ისე, რომ არც კი მოგვდის აზრად გავარკვიოთ, თუ რით არის გამოწვეული ეს დისკომფორტი. არადა, ზოგჯერ ამ წამლებმა შეიძლება გამოიწვიონ პირიქით მდგომარეობის გართულება. ამიტომ, სანამ მივიღებთ წამალს, აუცილებელია გავარკვიოთ, აქვს თუ არა მას ბუნებრივი ალტერნატივები. რაც უფრო ნაკლებად მიიღებთ წამალს, მით უფრო ჯანმრთელი იქნებით.

### **შუკაკიძე თეონა, სილაგაძე მარგარიტა**

სპეციალობა „მასაჟი“, III საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. ნია მოსემვილი

### **ზღვის მარილის სიკეთე**

ზღვის მარილი თქვენი ჯანმრთელობის სამსახურშია. მისი აბაზანები განკუთვნილია კანის დამატებითი კვებისთვის, რომელიც ენერგიით ავსებს, ხელს უწყობს მის სიმკვრივესა და ელასტიურობას. აბაზანის მიღების შემდეგ კანი გლუვი და კრიალა ხდება, იდევნება შლაკები. ზღვის მარილში შემავალი ბრომი და მაგნიუმი ამშვიდებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ხოლო იოდი სასარგებლოა ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებისთვის.

ზღვის მარილი აუმჯობესებს ძვლის ტვინის ფუნქციასაც, ზრდის ჰემოგლობინის დონეს, რეკომენდირებულია ანემიის დროსაც. სასარგებლოა ბრონქებისა და ფილტვების დაავადებათა პროფილაქტიკისთვის, ხსნის კუნთოვან დამაბულობას. განსაკუთრებით სასარგებლოა მკვდარი ზღვის მარილი, რომლის წყალიც მდიდარია იოდითა და რკინით. თუმცა, გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულთათვის ზღვის მარილიან აბაზანებს შეიძლება უკუჩვენება ჰქონდეთ.



**კაჭარავა თამარი**

სპეციალობა „ფარმაცევტის თანაშემწე“, V საფეხური  
ხელ-ლი პროფ. ცუცა სულაკაძე

**წყალი და მისი როლი ფარმაცევტულ ქიმიაში**

წყალი ჩვენი პლანეტის საფუძველს წარმოადგენს. არ არსებობს ბუნებრივი სხეული, რომელიც მას შეედრებოდა. იგი წარმოადგენს არა მარტო აკვანს, ყველა ცოცხალი არსებისთვის, არამედ მუდმივად უწყობს ხელს სიცოცხლის შენარჩუნებას უკვე მილიარდი წლების განმავლობაში. წყლისგან შედგება მცენარეთა სამყაროს 70-95%. წყალთან დაკავშირებით არსებობს მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ითვლება, რომ იგი ბოლომდე შესწავლილი არ არის.

წყალი ერთადერთი ნივთიერებაა, რომელიც გვხვდება უზარმაზარი რაოდენობით და ბუნებრივ პირობებში სამივე ფიზიკურ მდგომარეობაში - მყარი, თხევადი და აირადი (ორთქლი). წყალი, ადამიანის ორგანიზმისთვის მნიშვნელობით მეორე ნივთიერებაა ჟანგბადის შემდეგ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმის თითქმის 2/3 შედგება წყლისგან.

ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ადამიანის სიცოცხლე წარმოადგენს „ბრძოლას წყლის მოსაპოვებლად“. წყალი, ფაქტიურად, დაბერების პროცესის ინდიკატორია. ბავშვის ორგანიზმი დაბადებიდან ერთი წლის ასაკამდე შეიცავს 80-85% წყალს. 18 წლის ასაკისთვის, ორგანიზმში წყლის შემცველობა მცირდება 65-70%-მდე, ხოლო მოხუცებულობაში 25%-მდე. წყალი უნივერსალური გამხსნელია, იგი ასრულებს „სატრანსპორტო სისტემის“ როლს - გადააქვს მკვებავი ნივთიერებები, გამოაქვს ორგანიზმიდან ნივთიერებათა ცვლის პროცესის პროდუქტები და ხელს უწყობს თერმული წონასწორობის შენარჩუნებას. წყალი ხელს უწყობს ადამიანის სხეულის თითქმის ყველა ნაწილის ფუნქციონირებას.



**ხორავა ანა**

სპეციალობა „ფარმაცევტის თანამემწე“, V საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. თეა სიმსივე

### **დისლექსია**

თანამედროვე მედიცინაში გავრცელებული პრობლემა - დისლექსია სპეციალურ ლიტერატურაში განიმარტება, როგორც კითხვის უნარის ნაწილობრივი დარღვევა, რომელიც ვლინდება ადრეული ასაკიდან. მაგ., ბავშვი კითხვის შესწავლის დროს მუდმივად იმეორებს ერთსა და იმავე შეცდომებს, რაც სპეციალისტების დასკვნით აიხსნება კითხვის პროცესში მონაწილე უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების ჩამოუყალიბლობით. ფაქტიურად, არ არსებობს მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად წარმატებულნი არიან დისლექსიის მქონდე ადამიანები სამსახურში, მაგრამ ცნობილია, რომ მრავალი მათგანი ხელოვნების სფეროში მოღვაწეობს. ისინი არიან მსახიობები, არქიტექტორები, ინჟინრები. მათი საერთო უნარი არის ჰოლისტური აზროვნება, მაშინ როცა ასე ძალიან უჭირთ თანმიმდევრულობა. მოსახლეობის 10 %-ს აქვს დისლექსია და მათი უმეტესობა ბიჭია. დისლექსიის მქონე ბავშვებს აღმოჩენა სჭირდებათ.

დისლექსია არ არის დაავადება. იგი გულისხმობს განსხვავებულ ფსიქიკურ შესაძლებლობებს და დასწავლის განსხვავებულ კანონზომიერებას. აღსანიშნავია, რომ დისლექსია არ არის დაბალი ინტელექტის შედეგი. იგი არც ქცევით, მოტივაციურ ან სოციალურ პრობლემას წარმოადგენს.

**ლორია თეონა**

სპეციალობა „ექთნის თანამემწე“, V საფეხური  
ხელ-ლი პროფ. ლელა ნიკოლეიშვილი

### **თავისუფალი რადიკალები და ანტიოქსიდანტები**

თავისუფალი რადიკალები იწვევენ ორგანიზმში უძლიერეს ჟანგვით სტრესს, რომლებზეც სამწუხაროდ არ მოქმედებს ფარმაცევტული პრეპარატები. თავისუფალი რადიკალების წარმოქმნა იწვევს ონკოლოგიურ დაავადებებს, ინსულტს,



ინფარქტს, ორგანიზმის ადრეულ დაბერებას, ათეროსკლეროზს, გულის დაავადებებს, „პარკინსონის“ დაავადებას, და ა.შ. თუ თავისუფალმა რადიკალებმა შეაღწიეს ორგანიზმის უჯრედში ისინი უერთდებიან დნმ-ს და იწვევენ შექცევად პროცესებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება კიბოს უჯრედები. ამიტომ აუცილებელია ორგანიზმის დაცვა თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისაგან.

სამწუხაროდ, ორგანიზმის დამცველი ფუნქცია ვერ უმკლავდება დაჟანგვის ჯაჭვური რეაქციის კონტროლს, ვინაიდან მათი აქტივაციის ხელისშემწყობი ფაქტორებია: ეკოლოგიური დაბინძურება, სტრესული სიტუაციები, ნივთიერებათა მიმოცვლის დარღვევა გამოწვეული არასწორი კვებით, მზის აქტივობის გაძლიერება, რადიოაქტიური ფონის მომატება, ცხიმოვანი დიეტა, მანქანების მავნე გამონაბოლქვი და მრავალი სხვა.

თავისუფალი რადიკალების რაოდენობა კონტროლირდება მათი მშთანთქმელებით (ანტიოქსიდანტები), რომლებიც წარმოიქმნება ორგანიზმში ბუნებრივი გზით. ანტიოქსიდანტი არის ნივთიერება რომელიც ბოჭავს ჟანგვით პროცესს, გადაცემს თავისუფალ რადიკალებს თავის ელექტრონს და ამით ანეიტრალებს თავისუფალი რადიკალების მოქმედებას. შეიძლება ითქვას რომ ანტიოქსიდანტები არიან ორგანიზმისთვის „ ეკოლოგიური დამცავები“.

**ქაჯაია მარიამი**

სპეციალობა „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხური  
ხელ-ლი უფ.მასწ. ჯავახია ეკატერინე

## **ბიონიკური თვალი**

„ბიონიკური თვალი“ წარმოადგენს ხელოვნურ მხედველობის სისტემას, ბიონიკური თვალის საშუალებით პაციენტებს შეუძლიათ არამარტო გამოსახულებების აღქმა, არამედ ოფთალმოლოგიური ცხრილის ზედა რიგის ტექსტის წაკითხვაც კი. ბიონიკური თვალი მიმართულია დაკარგული მხედველობის აღდგენისაკენ. ამერიკელმა მეცნიერმა ბრაიან მეჩმა და მისმა გუნდმა 50 წელი მოანდომეს ბიონიკური თვალის შექმნას. იგი წარმოადგენს ხელოვნურ იმპლანტს, რომელიც იმპანტირდება თვალზე. ეს



იმპლანტი პაციენტს საშიალებას აძლევს აღიქვას სამყარო შავ-თეთრ ფერებში. ასევე პაციენტებს შეუძლიათ ოფთალმოლოგიური ცხრილის პირველი რიგის აღქმაც.

### **ჯუღელი ნინო**

სპეციალობა „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. რუსუდან ხაჭაპურიძე

### **ფსიქიკური დარღვევები ხანდაზმულებში – ალცჰეიმერის დაავადება**

ხანდაზმულთა რეგულარული მეთვალყურეობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ფსიქიკური სფეროს სწორად შეფასება, დემენციისა და დეპრესიის დროული იდენტიფიცირება და მკურნალობის პროცესში ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტების დროული ჩართვაა. მსოფლიოში დემენციით დაავადებულია 24.3 მილიონი ადამიანი, ხოლო ყოველწლიურად 4.6 მილიონი ახალი შემთხვევა ფიქსირდება. 2040 წლისთვის დემენციით 81.1 მილიონი ადამიანი იქნება დაავადებული. ხანდაზმულებში დემენციის ყველა შემთხვევათა 60%-ს ალცჰეიმერის დაავადება წარმოადგენს, რომელიც 60 წლამდე პრაქტიკულად არ იწყება. მას ახასიათებს თანდათანობითი დასაწყისი, მიმდინარეობს პროგრესულად და შეუქცევადია.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული ზოგიერთი პროსპექტული კოჰორტული კვლევის მონაცემებით ალცჰეიმერის დაავადების რისკი ასოცირებულია ასაკთან, განათლების დაბალ დონესთან და აპოლიპოპროტეინ Eε4 გენთან. რისკის შემცირება აღინიშნება არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების, ღვინის, კოფეინის მოხმარებისა და რეგულარული ვარჯიშის ფონზე. ამავ დროს, სხვა კვლევები მიუთითებენ დემენციის ოჯახური ანამნეზის, თავის ტრავმისა და დაუნის სინდრომის შემთხვევაში ალცჰეიმერის დაავადების მომატებულ რისკზე.

ხანდაზმულთა ფუნქციონალური მდგომარეობის რეგულარული შეფასების მიზნით 65 წლის ზემოთ ასაკის პირებში სამ წელიწადში



ერთხელ, ხოლო 75 წლის ზემოთ ყოველწლიურად უნდა განხორციელდეს:

- ზოგადი ფუნქციონალური შეფასება;
- მობილურობის შეფასება;
- ფსიქიკური მდგომარეობის შეფასება;
- სოციალური ფუნქციების შეფასება (ცხოვრების წესი, ურთიერთობები);

ხანდაზმულთა სამედიცინო მეთვალყურეობის პროცესში არსებითი მნიშვნელობა აქვს პაციენტის ავტონომიის პატივისცემას და კლინიკური გადაწყვეტილების პროცესში მისი მონაწილეობის უზრუნველყოფას, ინფორმირებულ თანხმობასა და კონფიდენციალობას. ოჯახის წევრებისა ან ნებისმიერი სხვა პირისთვის სკრინინგის პროცედურებისა და მათი შედეგების შესახებ ინფორმაციის გადაცემა პაციენტის თანხმობის გარეშე (თუ პაციენტს შენარჩუნებული აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების უნარი) დაუშვებელია.

## **ჯანელიძე მილანა**

სპეციალობა „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. ხათუნა სირაძე

## **კვანძოვანი ჩიყვი**

ტერმინი ჩიყვი კონკრეტულ დაავადებას არ გულისხმობს. ეს არის ფარისებრი ჯირკვლის - კისრის წინა ზედაპირთან მდებარე პეპლის ფორმის პატარა ენდოკრინული ორგანოს გადიდება.

ისმის კითხვა - რატომ დიდდება ფარისებრი ჯირკვალი?

არსებობს მრავალი შესაძლო მიზეზი. ამერიკელი ავტორები მთავარ ფაქტორად იოდის დეფიციტს მიიჩნევენ. როდესაც გადიდებული ჯირკვალი ერთგვაროვანია, დიფუზური ჩიყვის შესახებ ლაპარაკობენ. ხოლო, როცა ფარისებრი ჯირკვალი კვანძების არსებობის გამოა გადიდებული, ჩიყვი კვანძოვანია.

თუმცა, ფარისებრი ჯირკვალი შესაძლოა გადიდდეს ფარისებრი ჯირკვლის კიბოს, ორსულობის ან ფარისებრი ჯირკვლის ანთების დროს. ის შეიძლება ჯირკვლის ნებისმიერ



ნაწილში აღმოცენდეს. ასეთი კვანძების უმეტესობა კეთილთვისებიანია და სიმსივნურ გადაგვარებას არ განიცდის. ანუ, ფარისებრი ჯირკვლის კიბო უფრო იშვიათია, ვიდრე კეთილთვისებიანი კვანძები.

ვინაიდან ზოგ შემთხვევაში ჩიყვი ანომალიური ანტისხეულების არსებობით არის გამოწვეული, სისხლში მათი აღმოჩენა ფარისებრი ჯირკვლის გადიდების მიზეზების დაზუსტებაში გვეხმარება. ექოსკოპიის მეშვეობით შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ ჯირკვლის ზომები და მასში კვანძის არსებობა-არარსებობა.

ფარისებრი ჯირკვლის სკანირებისას სისხლში შეჰყავთ რადიაქტიური ნივთიერება, რომელიც ფარისებრ ჯირკვალში გროვდება, სპეციალური ხელსაწყოს მეშვეობით მნიშვნელოვან ინფორმაციას ვიღებთ ჯირკვლის გადიდების მიზეზისა და მისი ფუნქციური მდგომარეობის შესახებ. სიტყვა "რადიაქტიურმა" არ შეგაშინოთ. კვლევისათვის პრეპარატის იმდენად მცირე დოზა გამოიყენება, რომ დასხივების არავითარი რისკი არ არსებობს.

მისი მკურნალობის პრინციპები კი შემდეგია: დაკვირვება–როცა ჩიყვი დიდი ზომისა; მედიკამენტური მკურნალობა; ოპერაციული ჩარევა და რადიაქტიური იოდით.

### **ლეღამე ლანა**

სპეციალობა „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. ინგა ჩირგვილაძე

### **ჯანსაღი კვება**

ჯანსაღი კვება აუცილებელია ორგანიზმისთვის. კვება რომ აუცილებელია ვიცით, მაგრამ სწორად კვების ჩვევად ქცევას ნებისყოფა სჭირდება. წარმოდგენილ თემაში განხილულია არაჯანსაღი კვების უარყოფითი შედეგები, რომელიც არც თუ ისე სახარბიელოა. იგი მოიცავს აგრეთვე თუ როგორ უნდა ვიკვებოდ სწორად და რამდენად მნიშვნელოვანია ჯანსაღი კვება ცხოვრებაში.





ლორია თეა

სპეციალობა „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. ქეთევან ჩირგაძე

### მოწამვლები

თემაში „მოწამვლები“ განხილულია მისი მოკლე ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. მასში დაწვრილებით არის წარმოდგენილი ყველა ის ნიუანსი, რაც მოწამვლებს სდევს თან. მოხსენებაში ყურადღება არის გამახვილებული იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც უნდა გადაიდგას პროცესების მიმდინარეობაში. მაგალითად, განხილულია შხამისა და ორგანიზმის ურთიერთქმედება, მწვავე მოწამვლების დიაგნოსტიკა და მისი მკურნალობის მეთოდები. თემაში ასევე არის საუბარი იმ პრევენციული წესების შესახებ, რომლებიც დაგვიცავს მოწამვლებისაგან.

მაკა ექვსშაურაშვილი

სპეციალობა „ოფისის მენეჯერი“ III საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. ნინო ჩიტაური

### პირველადი სამედიცინო დახმარება (ზოგადი პრინციპები)

პირველადი დახმარების ზოგადი პრინციპები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- რატომაა მნიშვნელოვანი პირველადი გადაუდებელი დახმარების ცოდნა.
- რა ემოციური ასპექტები ახლავს პირველად გადაუდებელ დახმარებას.
- რა პირადი აღჭურვილობაა მნიშვნელოვანი პირველადი დახმარების დროს.
- პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა.
- პირველადი დახმარება: სუნთქვის გართულებისას, სისხლდენის, სასუნთქი გზების გადაკეტვის დროს.
- პირველადი დახმარების აღმომჩენის მოვალეობები.



- პირველადი სამედიცინო დახმარების საერთაშორისოდ მიღებული ემბლემა.

**ზუხბაია ილონა**

სპეციალობა „ექთნის თანაშემწე“, III საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. დალი ღონღაძე

## **ნოზოკომიური (საავადმყოფოს შიგა)**

### **ინფექციები**

მოხსენებაში განხილულია შემდეგი საკითხები:

- ნოზოკომიური ინფექციის განმარტება;
- ნოზოკომიური ინფექციების გავრცელების ზოგადი მიმოხილვა;
- ნოზოკომიური ინფექციის ეტიოლოგია და სტრუქტურა;
- შარდ- სასქესო სისტემის ნოზოკომიური ინფექციები;
- სასუნთქი სისტემის ნოზოკომიური ინფექციები;
- ჭრილობის ნოზოკომიური ინფექციები;
- ანგიოგენური ნოზოკომიური ინფექციები;
- კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნოზოკომიური ინფექციები;
- პათოგენური მიკროორგანიზმების რეზისტენტობა ანტიბიოტიკებისადმი ნოზოკომიური ინფექციების დროს;
- სამედიცინო პერსონალის და პაციენტების ხელების ჰიგიენა;
- სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციური კონტროლის კომიტეტი;
- სამედიცინო დაწესებულებებში ნოზოკომიური ინფექციების აღრიცხვის სტატისტიკური მონაცემები 2005წ-დან 2016 წლის ჩათვლით;
- საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ;
- შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 01-2/ნ „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მოწოდების შესახებ“ 18.01. 16
- დასკვნები და რეკომენდაციები.



სოფიო გოგოლაძე

სპეციალობა „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხური  
ხელ-ლი დოქტორანტი თემურ ქანთარია

### მედიკამენტოზური თერაპიის მომავალი - წამლის მიმწოდებელი სისტემები

თანამედროვე მედიკამენტოზური თერაპიის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა წამლის სელექციური ანუ მიზანმიმართული მიწოდების საკითხი. ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთი პერსპექტიული გზაა წამლის მიმწოდებელი სისტემების გამოყენება. მსგავს სისტემებზე ოცნება სათავეს იღებს XIX საუკუნიდან, თუმცა ამ იდეის განხორციელება ბოლო წლებში დაიწყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მიზანმიმართული მოქმედების პრეპარატების შექმნა თერაპიაში რევოლუციის ტოლფასია.

წამლის მიმწოდებელი კონტეინერების სახით გამოიყენებენ სხვადასხვა მასალისგან დამზადებულ კონსტრუქციებს, როგორებიცაა: პოლიმერული ნანონაწილაკები, მიკროსფეროები, მიცელები, დენდრიმერები, ასევე ლითონებისა და მათი ოქსიდებისგან დამზადებული ნანონაწილაკები, ბუნებრივი წარმოშობის კონტეინერები - ლიპოსომები, სისხლის უჯრედები – ლეიკოციტები და ერითროციტები და ა. შ.

წამლის მიმწოდებელი სისტემების ფუნქცია არ შემოიფარგლება მხოლოდ წამლის მექანიკური გადატანით, არამედ ისინი ასრულებენ მნიშვნელოვან ფუნქციებს: იცავენ მათში ჩართულ წამალს ან ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას ინაქტივაციისგან და გარე ფაქტორების მავნე ზემოქმედებისგან, ასევე ეს კონტეინერები ასრულებენ რეზერვუარის ფუნქციასაც, საიდანაც ხორციელდება წამლის თანდათან გამოთავისუფლება და, შესაბამისად, ფარმაკოლოგიური მოქმედების გახანგრძლივება (პროლონგირება).



მარიამ გოგსაძე

სპეციალობა „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. თამუნა ქიტესაშვილი

### **ჯანმრთელი, დროული ახალშობილის მოვლა სამშობიარო სახლში**

ჯანმრთელი დროული ახალშობილის მოვლა სამშობიარო სახლში მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. სამშობიარო სახლში ახალშობილის მოვლის აუცილებელი პირობები და სტანდარტული პრო-ცედურები;
2. ახალშობილის მოვლისთვის აუცილებელი აღჭურვილობა სამშობიარო ბლოკში;
3. ახალშობილის შეფასება;
4. მოვლის პროცედურები სამშობიარო ბლოკში – სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველ-ყოფა, სითბოს დაკარგვის პრევენცია, ჭიპლარის დამუშავება, შეფასება აპგარის შკალით, კანის - კანთან კონტაქტი და I მოჭიდება, კონიუქტივიტის პროფილაქტიკა, ჰემორაგიული დაავადებების პროფილაქტიკა, ანთროპომეტრია;
5. ახალშობილის მონიტორინგი სამშობიარო ბლოკში;
6. ყოველდღიური მოვლის პროცედურები სამშობიარო სახლის პოსტნატალურ პალატაში – სახის, თვალის, ყურის, ცხვირის და კანის ტუალეტი, ჭიპლარის ტაკვის დამუშავება, აწონვა, დაბანა, იმუნიზაცია, სკრინინგი.
7. ახალშობილის გაწერა სამშობიარო სახლიდან. ანუ, რა უნდა იცოდეს დედამ გაწერისას.

**თამარ ცუხიშვილი**

სპეციალობა „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. ნინო ცხადაძე

### **გულ-სისხლძარღვთა სისტემა**

გული ფიბროზულ-კუნთოვანი ღრუ ორგანოა, რომელიც ასრულებს ტუმბოს ფუნქციას და უზრუნველყოფს სისხლის მოძრაობას სისხლის მიმოქცევის სისტემაში. გულის კედელი სამი



გარსისაგან შედგება: ენდოკარდიუმი, მიოკარდიუმი და პერიკარდიუმი. ადამიანის გული ოთხ საკნადაა დაყოფილი: მარცხენა და მარჯვენა წინაგულებად და მარცხენა და მარჯვენა პარკუჭებად. წინაგულები და პარკუჭები ერთმანეთს ხვრელებით უკავშირდება, რომლებშიდაც სარქველებია მოთავსებული. მათი ძირითადი დანიშნულებაა სისხლის ერთი მიმართულებით მოძრაობა. ორგანიზმში სისხლის მოძრაობა სისხლის მიმოქცევის ორი - დიდი და მცირე წრით ხორციელდება.

გულის უწყვეტ მუშაობას განაპირობებს მისი ისეთი თვისებები როგორცაა: ავტომატიზმი, ავზნებადობა, შეკუმშვადობა, გამტარებლობა. ნორმალურ პირობებში გულის პეისმეკერს წარმოადგენს სინუსის კვანძი. გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ცივილიზებულ ქვეყნებში სიკვდილიანობის ერთ-ერთი პირველი მიზეზია. საქართველოში ეს დაავადებები ძალიან გაახალგაზრდავდა, რაც არასწორი ცხოვრების რეჟიმის, სტრესებისა და ჭარბი წონის ბრალია.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების ხშირად გავრცელებული სიმპტომებია: ტკივილი მკერდის არეში, ქოშინი, გამლიერებული გულისცემა, მოხრჩობის შეგრძნება, ტაქიკარდია, ბრადიკარდია, არითმია, არტერიული წნევის ცვალებადობა. მეტად საყურადღებოა ისეთი დაავადებები როგორცაა: გულის იშემიური დაავადება, სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის უკმარისობა. მნიშვნელოვანია ამ სიმპტომებისა და დაავადებების სწორი, თანმიმდევრული და რაც მთავარია დროული მართვა.

## **ღია მანასიანი**

სპეციალობა „პრაქტიკოსი ექთანი“, V საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. თეონა ტალიკაძე

## **როგორი უნდა იყოს წარმატებული მედდა**

მედდის პროფესია მოითხოვს შესაბამის უნარებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პაციენტთა განსაკუთრებულ ზრუნვას. მედდის პროფესიას დიდი ისტორია აქვს. საუკუნების განმავლობაში ვითარდებოდა ეს პროფესია, რომელსაც მეტად მნიშვნელოვანი



ადგილი უჭირავს სამედიცინო სფეროში. მრავალი ფაქტორი განაპირობებს მედდის პროფესიონალად ჩამოყალიბებას. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

- **თანაგრძნობა.** პაციენტთა გულმოდგინედ მოსმენა, მათი გათავისება მედდის პროფესიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.
- **პატივისცემა.** პაციენტთა უმრავლესობას უჭირს ემოციების კონტროლი, მედდის უპირველესი მოვალეობაა დაეხმაროს მათ ღირსების შენარჩუნებაში.
- **სიმშვიდის შენარჩუნება კრიტიკულ მდგომარეობაში.** სწრაფი გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია სიმშვიდის შენარჩუნება.
- **დეტალებზე ორიენტირება.** დეტალებზე ყურადღების გამახვილება უმნიშვნელოვანია სამედიცინო სფეროში.
- **კომუნიკაცია.** მედდის პროფესია ასევე გულისხმობს საკომუნიკაციო უნარების ფლობას.
- **ცოდნა.** სამედიცინო განათლება კი სათანადო ცოდნით უზრუნველყოფს მედდებს.

ამრიგად, წარმატების მიღწევა ნებისმიერ პროფესიაში განსაკუთრებულ თავდადებასა და შრომას მოითხოვს. თუმცა, მედდების შემთხვევაში პროფესიონალიზმი, ერთგულება და თავდადება ორმაგად მნიშვნელოვანია, მათ ხომ ადამიანთა ჯანმრთელობაზე უწევთ ზრუნვა.

**დავით შაშიაშვილი, ლილე ვაშაყმაძე**  
სპეციალობა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, III საფეხური  
ხელ-ლი უფ. მასწ. რამაზ მაისაშვილი

## **3D ტექნოლოგიები სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებში**

3D ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად ამარტივებს საწარმოო, კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების მართვას, რის გამოც მათ ფართო გამოიყენება ჰპოვეს მთელს მსოფლიოში. სადღეისოდ, წარმატებულ უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებით



ახორციელებენ სამგანზომილებიანი დიზაინის (CAM, CAD) პროექტირებისა და ბეჭდვის პროგრამების სწავლებას.

ევროპაში, 3D-ტექნიკა აქტიურად გამოიყენება სკოლებში, კოლეჯებში და უნივერსიტეტებში. მაგალითად, იტალიის უნივერსიტეტის SISSA სულ ცოტა ხნის წინ შეიტანეს კომპანია „3D Systems“-ის გამოშვებული პროფესიული პრინტერი, რომელმაც მკვლევარებსა და სტუდენტებს მაღალი სიზუსტის მოდელების კონსტრუირებისა და გამოკვლევის საშუალება მისცა.

მსოფლიოში დონორული ორგანოების დეფიციტი, გვაიძულებს მოვიძიოთ ისეთი ბიოსამედიცინო გადაწყვეტილებები, რომელიც არ საჭიროებს დონორულ მასალას. ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად ამ სფეროში, რეგენერაციული მედიცინის ტექნოლოგიები ითვლება. მათ მიაკუთვნებენ ქსოვილების ინჟინერიას და გენურ და უჯრედულ თერაპიას.

ბოლო წლებში სწრაფი განვითარება ჰპოვა რეგენერაციული მედიცინის კიდევ ერთმა მიმართულებამ - 3D ბიობეჭდვა. ბიობეჭდვა - ეს შედარებით ახალი მიმართულება მედიცინაში, რომელმაც განვითარება ჰპოვა ადიტიური ტექნოლოგიების (Additive Manufacturing) სწრაფ ზრდასთან ერთად.

ამჟამად, მთელს მსოფლიოს მასშტაბით მუშაობენ მეცნიერები რათა შექმნან მრავალფუნქციური პრინტერები, რომლებსაც შეეძლებათ ამობეჭდონ გულის, ღვიძლის, თირკმლისდა სხვა მოქმედი ორგანოებში. მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების აზრით 10 -15 წლის შემდეგ შესაძლებელი იქნება ადამიანის სრულყოფილი და ფუნქციონირებადი ორგანოების ბეჭდვა და გადანერგვა. თუმცა, დღეს უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ არსებობს წარმატებული ოპერაციები როდესაც ადამიანს გადაუნერგეს 3D-ბიოპრინტერით ამობეჭდილი ორგანოები.



## შთაბეჭდილებების გვერდი